

**ტექნოლოგიები, მოქალაქეები და სახელმწიფო**  
(საქართველოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მაგალითზე)

ანა გაგუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეციერების და ხელოვნების ფაკულტეტზე  
საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ხალვაში, ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

## შინაარსი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	13
ტექნოლოგიები და ადამიანები.....	13
ტექნოლოგიები და ბიოპოლიტიკა.....	19
ინტერნეტი.....	21
ტექნოლოგიები და მოქალაქე მმართველობითი სისტემების ტრანსფორმაციის პროცესში.....	22
საბჭოთა ნარატივები.....	22
პოსტ-საბჭოთა ნარატივები.....	26
აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქე.....	36
მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები.....	36
ელექტრონული მმართველობა.....	40
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.....	43
კვლევის შედეგები და განხილვა.....	46
პოლიტიკური ონტოლოგიის ცვლილება.....	46
სოციალური ფონი და ციფრული უთანასწორობა.....	50
ამხანაგობების თვითორგანიზების საშუალებები.....	53
თავმჯდომარის კომპეტენცია და მოტივაცია.....	57
სახელმწიფოს მიერ ელექტრონული არხების გამოყენება.....	62
დასკვნა.....	71
ბიბლიოგრაფია.....	82

## აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობის პროცესში ტექნოლოგიების როლს ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, სახელმწიფოს და ინდივიდს შორის ურთიერთობა განხილულია თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და გამგეობების მაგალითზე და ამ პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლზე. ამ სამი აქტორის - სახელმწიფოს, ტექნოლოგიების და მოქალაქის - ურთიერთმიმართების საკითხი შესწავლილია იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ქვეყანაში საბჭოთა სისტემიდან კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლას სდევდა თან.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საცხოვრის სფეროში შეზღუდულია ელექტრონული საშუალებების გამოყენება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებიც ჯერ ისევ არ წარმოადგენს მოქალაქეთა ჩართულობის აქტიურ ფორმას. საცხოვრისის დონეზე სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების აქტიური გამოყენება ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზებით. მაგალითად, გაუმართავია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვებ-საიტები, ასევე, დაბალია მოქალაქეთა ციფრული წიგნიერება და საკითხით დაინტერესება სოციალური ფონიდან გამომდინარე. საბჭოთა სისტემიდან ახალ მმართველობით სისტემაზე გადასვლის პროცესში შეცვლილი პოლიტიკური ონტოლოგია კი, აქტიური მოქალაქის იდეით, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ადამიანებისთვის ბუნებრივ მდგომარეობას. ჩემი დაკვირვებით, საცხოვრისის სფეროში კერძო სექტორი უფრო ახერხებს მოქალაქეებთან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით კომუნიკაციას, ვიდრე სახელმწიფო, რომელიც უფრო მეტად სოციალური ქსელების მეშვეობით ცდილობს სახელმწიფო პროცესის წარმოებას და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებიც თვითორგანიზების პროცესში სწორედ ამ ელექტრონულ საშუალებას იყენებენ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა, ტექნოკრატია, აქტიური მოქალაქე, ელექტრონული მმართველობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.